ფაკულტეტი:	ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი
პროგრამის სახელწოდება:	ფინანსები
მიმართულება:	ბიზნესის ადმინისტრირება
კოდი:	0204
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:	აკადემიური
სწავლების ენა:	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:	ფინანსების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 120 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 21 სასწავლო კვირას. მაგისტრანტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 110 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებზე მოდის, სადაც 10 კრედიტი პრაქტიკას, ხოლო 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა.
  - სპეციალობის სავალდებულო კურსების ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია ფინანსების სფეროს ღრმა და სისტემურ შესწავლაზე, სფეროს ცალკეული პრობლემების გადაჭრის ახალი ორიგინალური გზების მოძიებაზე კვლევის მეთოდებისა და მიდგომების დამოუკიდებლად გამოყენებით, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული ღირებულებების შეფასებსა და დამკვიდრებაზე.
- 10 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი კურსები.
  - არჩევით კურსებს მაგისტანტი ირჩევს ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულებლად მაგისტრანტმა უნდა მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტარნტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის (ფინანსები) გამოცდის და ინგლისურ ენაში (B2) გასაუბრების შედეგების საფუძველზე, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52[1]-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია მოამზადოს თეორიული ცოდნის, პრაქტიკული, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე მაღალკვალიფიციური ფინანსისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ფინანსების, საბანკო საქმის და ფულად-საკრედიტო სისტემის სფეროებში, რომლებიც წარმატებით შეძლებენ ეფექტიანად და ხარისხიანად განახორციელონ მმართველობითი ფუნქციები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტები მიიღებენ აუცილებელ ცოდნას და გამოიმუშავებენ უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია მათი წარმატებული საქმიანობისათვის საფინანსო სფეროში და ზოგადად ბიზნესში.

აღნიშნულის მიღწევის მიზნით კურსდამთავრებულებს ექნებათ:

- ორგანიზაციის/ფუნქციონალური სფეროს ეფექტიანი მართვისა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები;
- მართვის კომპლექსური პრობლემების კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;
- ორგანიზაციის/ფუნქციონალური სფეროს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების ჩამოყალიბების, განხორციელების გზების დადგენისა და კონტროლის უნარი;
- ღრმა თეორიული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი საფინანსო დარგის მიმართულებებში, როგორებიცაა: ფინანსური მენეჯმენტი, მმართველობითი აღრიცხვა, ფინანსური სისტემა და რეგულირება, საინვესტიციო მენეჯმენტი, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა;
- კვლევითი პროექტების განხორციელების უნარი;
- კონკურენტულ და სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტაციის, მიზნის ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- ორგანიზაციის/ფუნქციონალური სფეროს წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლების ფორმატი, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური ადამიანური რესურსი – აკადემიური და დამხმარე პერსონალი, უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და წიგნადი და არაწიგნადი ფონდები უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევადობას.

სწავლის შედეგები

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მაგისტანტებს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს უნარები და განუვითაროს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრანტს ექნება: სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
ეცოდინება: ეფექტური, ზეპირი და წერითი ბიზნეს კომუნიკაციის პრინციპები და თავისებურებები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრანტი შესძლებს: ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებას; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ასევე ოფიციალური და არაოფიციალური ანგარიშის მომზადებას.

დასკვნის უნარი.

მაგისტრანტი შესძლებს: რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზს; კონკრეტული ბიზნესკომუნიკაციური სიტუაციისათვის სწორი სტრატეგიის შერჩევას.

კომუნიკაციის უნარი.

მაგისტრანტი შესძლებს: თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; ასევე,საქმიანი წერილების შედგენას; დიალოგის წარმართვას; ინტერპერსონალურ კომუნიკაციას; ინტერვიუირებას.

სწავლის უნარი

მაგისტრანტი შესძლებს: სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას და სტრატეგიულად დაგეგმვას; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, ინფორმაციის მოპოვებას და დამუშავებას.

ღირებულებები

მაგისტრანტი შესძლებს: ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას; ბიზნეს ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვას.

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრანტს ეცოდინება: ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე თეორიები; კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების შედგენის მეთოდები; მმართველობითი აღრიცხვის მეთოდები და მეთოდოლოგია; დანახარჯების აღრიცხვის ხერხები; შიდა კონტროლის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები; რისკ-მენეჯმენტის თეორიული ასპექტები; რისკ-მენეჯმენტის პროცესის ძირითადი ელემენტები. მარკეტინგული კვლევებისა და მოთხოვნის პროგნოზირების მეთოდები; საქმიანი ბაზრების ანალიზის ხერხები; ფინანსური რესურსების მართვის საფუძვლები; ფინანსური სისტემის ფუნქციები და ბაზრების თავისებურებები; სადაზღვევო რისკის არსი და რისკის მართვის მექანიზმები; სადაზღვევო სისტემის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები; მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სადაზღვევო ბაზრების სტრუქტურა; საბანკო მენეჯმენტის არსი და ამოცანები; სტრუქტურა და ძირითადი მიმართულებები; ბანკის საქმიანობის სტრატეგიები; ბანკის ადამიანური მენეჯმენტის თავისებურებები; საერთაშორისო ფინანსური ბაზრის სტრუქტურა და სუბიექტები; საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციების არსი; გადასახადების თანამედროვე თეორიები; საგადასახადო ინსტრუმენტები; საგადასახადო პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებსა და

საქართველოში. ფინანსური აქტივების ფუნდამენტური თვისებები; ინვესტირების რთული და კომპლექსური მოდელები; ინვესტირების პროცესში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

მაგისტრანტი შესძლებს: კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების შედგენას და ფინანსური განვითარების პროგნოზირებას; გრძელვადიანი დაფიანანსების სტრატეგიების შემუშავებას; წარმოების სხვადასხვა ტიპის პირობებში პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციას და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში დანახარჯების ეფექტიანი მართვის სისტემის შემუშავებას; დანახარჯების აღრიცხვას, ანალიზს, დაგეგმვას და კონტროლს; რისკების გამოვლენას და ანალიზს; ფინანსური რისკების მართვას; რისკების მართვის სტრატეგიების შერჩევას; კომპანიის მართვისათვის მარკეტინგული კონცეფციების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას; ფულადი საშუალებების განაწილებას და საპროცენტო განაკვეთზე მოქმედი ფაქტორების შეფასებას; ფინანსური ინფრასტრუქტურის შეფასებას და ფინანსურ რეგულირებაში მონაწილეობას; სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის ანალიზს; ბანკის საქმიანობის სტრატეგიული გეგმის შედეგად სტრატეგიული და ოპერაციული მარკეტინგის წარმოებას; ბანკის ლიკვიდური სახსრების მართვის სტრატეგიების შემუშავებას; ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების ინსტრუმენტების გამოყენებას; პროფესიულ დონეზე საბიუჯეტო დაგეგმვას; გადასახადების აკრეფის სისწორის დადგწენის მიზნით, მონიტორინგის ჩატარებას; საინვესტიციო პორთფელის მართვის აქტიურ და პასიურ მენეჯმენტს; ბანკის საქმიანობის ოპტიმალური და მაქსიმალურიად ეფექტიანი მოდელის აგებას.

დასკვნის უნარი:

მაგისტრანტი შესძლებს: კომპანიის ფინანსური ანალიზის შედეგად შესაბამისი დასკვნების გაკეთებას; აღრიცხვისა და ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შეფასებას და სწორი მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებას; სხვადასხვა სახის დანახარჯების ანალიზის საფუძველზე, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ დასკვნის გაკეთებას; რისკების ანალიზის საფუძველზე, მთ შეფასებას და დასკვნის შემუშავებას; მარკეტინგული კვლევის ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული წინადადებების შემუშავებას; ფინანსურ საქმიანობაში სხვადასხვა ფინანსური კონცეფციების გამოყენებას; კაპიტალის ფასის განსაზღვრას და კაპიტალის სტრუქტურის რისკის შეფასებას; სადაზღვევო სისტემაში არსებული პრობლემების ამოცნობას და დასკვნების ჩამოყალიბებას; საბანკო მენეჯმენტისათვის დამახასითებელი მონაცემების შეგროვებას და განზოგადებას; დასკვნის საფუძველზე ბანკის რეიტინგულ შეფასებას; სავალუტო კურსზე მოქმედი ფაქტორების და ინფლაციის გამომწვევი მიზეზების ანალიზს და არგუმენტირებული დასკვნის გაკეთებას; ფინანსურ ბაზრებზე განვითარებული მოვლენების კრიტიკულ ანალიზს და დიაგნოსტირებას. საგადასახადო და საბაჟო მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, არგუმენტირებული დასკვნის გაკეთებას; ალტერნატიული პროექტების შეფასებას და მის საფუძველზე საუკეთესოს შერჩევას; საბანკო ბიზნეს-პროცესებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და ერთმანეთტან შედარებას.

კომუნიკაციის უნარი:

მაგისტრანტი შესძლებს: მშობლიურ ენაზე - კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, პრობლემებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ საკუთარი აზრის წარდგენას პროფესიულ საზოგადოებასთან; მმართველობითი აღრიცხვის თემებზე რეფერატის მომზადებას და საზოგადოებისათვის წარდგენას; ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, კვლევის სამიზნე ჯგუფთან კომუნიკაციას და მათ ანკეტირებას; საქონლის რეკლამირებისათვის მისი მახასიათებლების პრეზენტირებას; სადაზღვევო სისტემის კვლევის საფუძველზე სარეფერატო ნაშრომის მომზადებას და წარდგენას; საბანკო მენეჯმენტის შესახებ

ინფორმაციის კვლევას და პრეზენტირებას; გადასახადებთან დაკავშირებით საინფორმაციო მართვის სისტემებისა და ბაზების გამოყენებას; ინვესტიციების ანალიზის სხვადასხვა მოდელების გამოყენებით, საინვესტიციო პროექტების შედგენას, წარდგენას და მათ დანერგვას.
ინგლისურ ენაზე - შეძლებს კომუნიკაციას დარგობრივ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ეკონომიკური და ბიზნეს ინფორმაციის ორგანიზებას და სტრუქტურირებას, საკუთარი მოსაზრებების ნათლად და დაუბრკოლებლად გაზიარებას.

სწავლის უნარი:
მაგისტრანტი შესძლებს: საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და ფინანსური ოპერაციების, ასევე საერთაშორისო ბაზრებისა და კომპანიების შესახებ, ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას და საკუთარი ცოდნის განახლებას; მარკეტინგის სფეროსთან დაკავშირებით ახალი ცოდნის შეძენას; საბანკო მენეჯმენტის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად განახლებას; საგადასახადო პოლიტიკის საკითხებში ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიებას და დამუშავებას; საბანკო რეინჟერინგის შესახებ, ინფორმაციის მოპოვებას, ანალიზს და ახალი ცოდნის მიღებას.

ღირებულებები:
მაგისტრანტს გაცნობიერებული ექნება: დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური არსი; მომხმარებელთა მოთხოვნები, და მათი გათვალისწინებით, შეიმუშავებს მყიდველზე ორიენტირებულ მარკეტინგულ სტრატეგიას; გააცნობიერებს: ფინანსების როლს საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში; საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების როლს გლობალიზაციის პროცესში; საბანკო სფეროს მუშაკთა ეთიკურ ნორმებს; პრაქტიკის ობიექტზე კოლეგებთან დაიცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები

კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

დასაქმების სფეროები

ფინანსების მაგისტრს პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, შეუძლია საქმიანობის განხორციელება მაღალი და საშუალო დონის მენეჯერებად: კომერციულ ბანკებში, საინვესტიციო ფონდებში და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში. ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებში, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში, სხვადასხვა პროფილის ფონდებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში.
ფინანსების მაგისტრს შესწევს უნარი მოახდინოს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ნორმალიზება, უზრუნველყოს ბიზნესის ეფექტიანი წარმართვა, საბანკო და სადაზღვევო ინსტიტუტების მართვა, საქართველოს ფინანსური სისტემის რეგულირება საკანონმდებლო ბაზის საკვანძო საკითხების ცოდნის საფუძველზე.

ცოდნის შეფასების სისტემა

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტანტანტთა ცოდნის შეფასებისას გეომედის სასწავლო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით (21.12.2004) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5

იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

- **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
  (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% –100%;
  (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81–90 %;
  (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80 %;
  (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70%;
  (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 %.

- **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**
  (**FX) ვერ ჩააბარა –** მაქსიმალური შეფასების 41–50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ ლ10 დღისა.
  (**F) ჩაიჭრა –** მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაგისტრანტის სემესტრულ შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამი და შეადგენს 100 ქულას, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- **შუალედური შეფასებები - 60 ქულა.** შუალედური შეფასებების ქულათა ჯამს სემესტრის განმავლობაში მაგისტრანტი შემდეგ კომპონენტებში დააგროვებს:
  - **აქტივობა** 40 ქულა - სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესრულებული სამუშაო, რეფერატის მომზადება, პრეზენტაცია, ქვიზი და სხვ., რომელიც კონკრეტდება სილაბუსში;
  - **შუალედური გამოცდა** -20 ქულა - სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შუალედური შეფასებაა, რომელიც ტარდება სემესტრში ერთხელ, მე-8 კვირაში. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში (კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი შესაბამის სილაბუსში). პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის შუალედური გამოცდისათვის შესაძლებელია განსხვავებული შეფასების ქულების დადგენა;

❖ **დასკვნითი გამოცდა ფასდება - 40 ქულით.** დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში.

- ✓ დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებში დაგროვილი აქვს არანაკლებ 11 ქულისა;
- ✓ დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა და მეტი;
- ✓ თუ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს 41-50 (Fx) სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;
- ✓ თუ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა ვერ დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი

ტოლია ან აღემატება 41-ს, სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

- ✓ თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება "F" (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით;
- ✓ დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

დამატებითი გამოცდა

- ✓ სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ;
- ✓ უარყოფითი სემესტრული შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ხელმეორედ გაივლის სასწავლო კურსს, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებასთან.

სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.